ხელშეკრულება №28/01/20
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 29 იანვარი 2018 წ.

ერთის მხრივ **აიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"** (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის ლაშა სამხარაძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ირიდესი"** მისი დირექტორის ქეთევან კვარაცხელიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების" შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13, მე-2 მუხლის 1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, შევთანხმდით და დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია ჟურნალების ბეჭდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
1.2 შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი წარმოდგენილია დანართი №1-ის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
1.3. კლასიფიკაციის კოდი – 798000000 ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები;

2. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. მთლიანად მომსახურების ღირებულება შეადგენს **580.00** (ხუთასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.
2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების მიწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობოთ გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

3. მომსახურების მიწოდების პირობები

3.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში;
3.2 მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, მიმწოდებლის სერვის ცენტრი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტია, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვლენს.
4.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენენ აიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"-ს ადმინისტრაციის უფროსი მამუკა კოპალეიშვილი;

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილი იქნება
5.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
5.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 **შემსყიდველს უფლება აქვს:**
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის და მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
6.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება;

7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01 %-ის ოდენობით, ხოლო თიკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობაა, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.01%-ს.

7.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებისაგან.

8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან;

9.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2018 წლის 15 მარტამდე;

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორაოტორია"	**შპს „ირიდესი"**
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №140ა/პასტერის ქ. №7	მისამართი: ქ. თბილისი, ექვთიმე ხელაძის 27
ს/კ: 402008046	ს/კ: 205260714
სახელმწიფო ხაზინა – ხაზინის ერთიანი ანგარიში	ბანკი: ს.ს ..თიბისი ბანკი"
კოდი:TRESGE22	კოდი: TBCBGE22
	ანგ:# GE43TB 1926 2360 2010 0005
ლაშა სამხარაძე	ქეთევან კვარაცხელია

დანართი №1

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი	CPV კოდი
1	სხვადასხვა სახის ჟურნალების ბეჭდვა	200ც	2.90	580.00	79800000
	საერთო ფასი			580.00	

„შემსყიდველი"

ლაშა სამხარაძე

„მიმწოდებელი"

ქეთევან კვარაცხელია

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 29 იანვარი 2018წ.

ჩვენ ქვევით ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"-სათვის სხვადასხვა სახის ჟურნალების ბეჭდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ქვემოაღნიშნულ მიმწოდებელთან შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მიმწოდებელი: .....

ლაშა სამხარაძე .....

მამუკა კოპალეიშვილი .....

თეა ბორაშვილი .....

მიხეილ გიგაური .....